FSSO 7167

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
შაბათი
1
სექტემბერი
№105 (10342)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

24 აგვისტოს გაიმართა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისად განიხილეს საკითხი საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ოთხი წევრის დანიშვნის შესახებ.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება. (საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ოთხი წევრის დანიშვნის შესახებ

განიხილა რა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების წინადადებანი, „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს:

ირაკლი სერგის ძე ყურდაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

2. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად დაინიშნონ:

თეიმურაზ გივის ძე გოორგაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე;

პარმენ იორამის ძე მარგველაშვილი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი;

ოთარ ირაკლის ძე მენაბდე — საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე;

მანანა ვლადიმერის ასულ ქურიძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 24 აგვისტო.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებების შესახებ

განიხილა რა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ - ტერიტორიული მოწყობის შეცვლის სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო ცდაა და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი სრულიად მიუღებლად მიაჩნია რესპუბლიკის სუვერენული უფლებების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის კონსტიტუციური უფლებების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება სესიის ჩატარების წესის დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებითა და დეპუტატთა მთელი კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად, აფხაზეთის ასსრ მთელი მოსახლეობის ნების გამოხატულების უგულებელყოფით.

ასეთი მოქმედება და გადაწყვეტილებები, რომლებიც აყალბებენ ისტორიულ ფაქტებსა და თანამედროვეობის პოლიტიკურ რეალიებს, ზიანს აყენებს ჩვენი მრავალეროვნული რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობებს, ართულებს დემოკრატიზაციის პროცესებს და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. სადაც აფხაზი ხალხის ინტერესები, ისევე როგორც რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ინტერესები, კანონით იქნება გარანტირებული და დაცული.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია და დადგენილება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 ივლისის დადგენილებით შექმნილმა კომისიამ, რომელიც სწავლობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მიერ აღძრულ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს, სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით უახლოეს დროში მოამზადოს წინადადებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 26 აგვისტო.

## ხსოვნის უკვდავება

ამა წლის 28 აგვისტოს ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობამ ჩვენი ქალაქის თავისუფლების მოედანზე გამართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ იმ მამულიშვილთა ხსოვნას, რომელნიც 1924 წლის 29 აგვისტოს ზუგდიდში ბოლშევიკებმა დახვრიტეს. იმ დღეს სიცოცხლეს გამოესალმნენ 38 პატრიოტი, ხოლო სექტემბრის დამდეგს — კიდევ რამდენიმე ათეული.

მიტინგი გახსნა და 1924 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების ტრაგიკულ ისტორიაზე ვრცლად ისაუბრა ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ავთანდილ ტუღუშმა. მანვე, ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის სახელით, გამოკვეთა პოზიცია მილიციის მუშაკთა მიერ 24 აგვისტოდან დაწყებული აქციის— გაფიცვის მიმართ, სახალხო ფრონტი მხარს უჭერს გაფიცულებს, მათ სამართლიან მოთხოვნებს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი ნოდარ ნათაძე, ზუგდიდის საქალაქო და რაიონული გაზეთ „ოდიშის" რედაქტორი აკაკი ჭანტურია, თამაზ ქურუოლიანი... ორატორებმა უპასუხეს მრავალ შეკითხვას, შეეხნენ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ - პოლიტიკური პროცესების მართვის, მრავალპარტიული არჩევნებისათვის მზადების, ზუგდიდში წესრიგისა და სამართლიანობის დაცვის მტკივნეულ საკითხებს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია-მსვლელობა დახვრეტილ მამულიშვილთა საძმო საფლავისაკენ.

## ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობა რაიონში 27 აგვისტოსათვის

| კოლმეურნეობები, მეურნეობები | წლიური გეგმა | შესრ. პროც. |
|---|---|---|
| ახალაბასთუმანი | 1320 | 97,3 |
| ახალსოფელი | 1680 | 107,4 |
| „კოლხიდა" | 1060 | 95,3 |
| ახალკახათი | 855 | 105,6 |
| გრიგოლიში | 840 | 95,0 |
| ინგირი | 3130 | 88,0 |
| კახათი | 2930 | 90,0 |
| კოკი | 685 | 86,1 |
| კორცხელი | 1470 | 86,7 |
| ნაცატუ | 970 | 84,5 |
| ნარაზენი | 2690 | 90,5 |
| ოდიში | 1480 | 88,6 |
| ორჯონიკიძე | 1480 | 96,6 |
| ოქტომბერი | 1460 | 83,4 |
| რიყე | 1650 | 93,9 |
| რუხი | 3960 | 83,8 |
| შამგონა | 945 | 95,8 |
| ჩხორია | 1420 | 91,0 |
| ტყაია | 1040 | 86,5 |
| ცაიში | 1185 | 93,1 |
| ურთი | 650 | 86,0 |
| ჭაქვინჯი | 1805 | 82,5 |
| ჭითაწყარი | 1440 | 96,2 |
| ჭკადუაში | 2000 | 86,5 |
| ჯიხაშკარი | 1050 | 88,0 |
| ორულუს რძის | 850 | 99,1 |
| **მეურნეობები:** | | |
| აბასთუმანი | 800 | 90,0 |
| ანაკლია | 200 | 86,5 |
| განარჯიის მუხური | 150 | 97,0 |
| დიდინეძი | 810 | 96,8 |
| დარჩელი | 1500 | 80,7 |
| ზედაეწერი | 4830 | 88,8 |
| ნარაზენი | 2730 | 94,2 |
| ონარია | 2100 | 98,5 |
| ხეცერა | 2675 | 90,5 |
| ინგირი | 8780 | 85,6 |
| ჩაის ფილიალი | 255 | 90,2 |
| ორსანტია | 580 | 84,8 |
| სულ რაიონში | 62460 | 89,6 |

ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება.

### ცნობები სოფლებიდან

## ტემპი მატულობს

ოქტომბრის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფა კარგი ტემპით მიმდინარეობს. გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 1460 ტონა ნედლეული. დღეისათვის მოკრეფილია 1260 ტონა. აღებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ფოთოლი 58 პროცენტს აღწევს. წინ არიან საწარმოო ბრიგადები, რომელთაც გ. სარჩიმელია, ბ. ქირია, ვ. ყურუა, მ. გერანტია, უ. ქირია და ა. აბაკელია უძღვებიან.

საქმეს მონდომებას არ აკლებენ, მეჩაიეები: ც. თოდუა, დ. ჭაფანძე, თ. გვარამია, ლ. ღულიათავა, ლ. ჯღარკავა, ა. ზარქუა, ქ. დიდიშვილი, ბ. გერანტია, შ. წიწავა, ე. ფარცვანია, მ. პერტახია და სხვები.

მეჩაიეები ვარაუდობენ გეგმა-ვალდებულება 15 სექტემბრისათვის გაანაღდონ.

ა. შამუგია,
ჩვენი კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სასკოლო ცხოვრება: გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს

# უნაყოფო ცოდნით დავკმაყოფილდეთ?...

„ქუჩის დამლაგებლად წავალ, მაგრამ მასწავლებლობას ვერ ვიკისრებ. მიზეზიც გითხარი: ბავშვებს ისეთ რამეს ვერ ვასწავლი, რაც მე თვითონ არა მწამს“ — ამბობს თეიმურაზ ხევისთავი ერთგან „ჭაყის ხიზნებში“.

სტუდენტობისას, პრაქტიკებზე საშინელ დასკვნამდე მივედი: ახლანდელი, გაორებული პედაგოგისათვის უფრო ძნელია თავისი ნამდვილი ფუნქციის შესრულება, ვიდრე რევოლუციამდელ საქართველოში მეთქი. ეს იყო სამი წლის წინათ. შემდეგ? შეიცვალა რამე? ვფიქრობ, ბევრი არაფერი.

საბჭოთა პედაგოგი ბავშვებს ასწავლიდა იმას, რაშიაც თვითონაც არ იყო კარგად გარკვეული, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა იყო არაბუნებრივი. ორივე მხარემ დაკარგა ერთმანეთის რწმენა, გაჩნდა ბზარი. მოსწავლეებს გული აუცრუვდათ სწავლაზე, მასწავლებელი გახდა აგრესიული. ბავშვებმაც უხეშობით უპასუხეს, შეილახა ცოდნის კერის, ავტორიტეტი. მაინც ვასწავლიდით... ბევრი არტახებიდან ხელ-ფეხის დახსნას ლამობდა.

ასე მგონია, საოცრად თანამედროვე მოძღვარია სულხან-საბას ლეონი: იცით რატომ? უარს ამბობს მეფის ხელისუფლებით დამონებულ საქმიანობაზე. „ძისა შენისა გაწვრთნა არ ძალმიძს!“ — შეჰკადრებს მეფეს. არამარტო ცოდნის მიცემა, არამედ აღზრდა! (რაზეც საერთოდ არ „ფიქრობენ“ ჩვენი სისტემის გეგმები).

ლეონივით ბევრ ჩვენგანს გვიფიქრია ალბათ: „დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისაო“.

ბევრი მიჩუმათებული სიმართლე გავიგეთ და გავიმეორეთ ხმამაღლაც, მაგრამ ამას არავითარი სასიკეთო ცვლილებები არ მოჰყოლია. ყველაზე მეტად ისევ სკოლას უჭირს. აქაა თაობათა ცვლაც და დაპირისპირებაც. მასწავლებელი თავის გაკვეთილზე მხარს უჭერს სიმართლეს, გმობს ბოროტებას. მაგრამ მისი სიტყვა და საქმე მაინც სცილდება ერთმანეთს, რადგან არაეფექტურია სკოლის მართვის სტრუქტურა, შეფასების კრიტერიუმები და ა. შ. ისევ ქაღალდომანია ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ამას ნათლად ხედავენ ბავშვები და არ გვენდობიან.

ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლებს სულ ამაღლებულზე გვიხდება საუბარი. თავად რითი დავამტკიცოთ სულიერების ღირსება? ძალიან მაინტერესებს: არის საქართველოში ერთი სკოლა მაინც, ობიექტურად რომ აფასებდეს მოსწავლის ცოდნას? დამისახელეთ ისეთი დირექტორი, რომელიც სიამოვნებით მიიღებდა პრინციპულ, ობიექტურ მასწავლებელს? არა, ამას არცერთი დირექტორი არ აკეთებს. და განა თავისი კაპრიზების გამო. მორალურად ყველას მოსწონს სამართლიანი მასწავლებელი, მაგრამ პრაქტიკულად ასეთ პედაგოგს ჩვენს სისტემაში პერსპექტივა არა აქვს. ესაა უბედურება. აი, ამიტომ ვართ ჩვენ, ყველანი დამონებულნი ყალბი წარმატებების შემოქმედი გეგმიანი სისტემის მიერ. ხოლო მოსწავლეთა მშობლებმა კარგად უწყიან, ასეთი რომ ვართ და გვიტევენ კიდეც, როგორც შეუძლიათ. მიზანსაც აღწევენ: ზოგჯერ ქრთამით, ზოგჯერ მუქარით, ხანდისხან პროტექციითაც და ა. შ. ასეთ სკოლაში, ასეთი მასწავლებლების მიერ აღზრდილი ბავშვები კიდევ კარგები არიან.

დიახ, გაორებული მასწავლებლისათვის უფრო ძნელია თავისი ნამდვილი ფუნქციის შესრულება. რა ვქნათ? რადიკალურად გარდავქმნათ სწავლა-განათლების სისტემა და რაც უფრო მალე მოვაგვარებთ ამას, მით უფრო კარგი იქნება საქართველოსათვის. ხევისთავივით უკვე ველარ დავრჩებით უნაყოფო ცოდნის მოიმედედ.

**ინგა სამუშია,**
ჩხორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## შეფის თაოსნობით

ახალი სასწავლო წლისათვის [...] დროზე დაიწყეს ზრუნვა რიყეში. შეფის რიყის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ვეკუა) თაოსნობით დასასრულს უახლოვდება საშუალო სკოლის შენობის რემონტი.

შეთეთრდა საკლასო ოთახებისა და კაბინეტ-ლაბორატორიათა კედლები. შეკეთდა და შეიღება კარ-ფანჯრები, მერხები და დაფები. კეთილმოეწყო სპორტდარბაზი. მოასფალტდა სპორტული მოედნები. კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო სასწავლო და ხელსაწყო იარაღებით. დაზუსტდა პირველ კლასში შემომსვლელთა სია. მოტანილ იქნა ახალი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ნივთები.

## ახალი სასწავლო წლისათვის

# ყოველმხრივ მზად შევხვდეთ

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1990-1991 სასწავლო წლის დაწყების გადავადების შესახებ.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია: მიღებულ იქნას ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების წინადადება 1990-1991 სასწავლო წლის დაწყების გადავადების შესახებ და მიზანშეწონილად ჩაითვალოს: რაიონის სასწავლო დაწესებულებებში 1990-1991 სასწავლო წლის მეცადინეობის დაწყება ამა წლის 17 სექტემბერს, აღნიშნულზე თანხმობა ეთხოვოს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა ამა წლის 17 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყონ სასკოლო შენობათა კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების დამთავრება, კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოსთან შექმნილ 1990-1991 სასწავლო წლისათვის რაიონის სასწავლო დაწესებულებათა მოსამზადებელ კომისიას დაევალოს 5 სექტემბრამდე მოაწყოს სასწავლო დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების დათვალიერება, შედეგებზე მოხსენდეს რაისაბჭოს აღმასკომს 10 სექტემბრამდე.

რჩევა მიეცა საბაზო ორგანიზაციებს, რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამატებით გაიღონ საჭირო თანხები სასწავლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოებისათვის, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად ჩატარებული მუშაობის დათვალიერებაში.

რაიკოოპკავშირის გამგეობამ (თავმჯდომარე ლ. ქირია) უნდა უზრუნველყოს 5 სექტემბრამდე მოსწავლეთა ფორმების, სასწავლო ნივთების შემოზიდვა; სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ნ. კალანდია) გაატაროს ქმედითი ღონისძიებები 17 სექტემბრამდე პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების შრომითი საქმიანობის მიზნობრივად წარმართვისათვის...

მიღებულ იქნა ცნობად, რომ ზუგდიდის რაიონის პედაგოგიური კონფერენცია ჩატარდება ამა წლის 7 სექტემბერს, „ცოდნის ზეიმი“ — 1 სექტემბერს.

# სკოლა მზადაა

სოფელ ოქტომბრის არასრული საშუალო სკოლის ტიპიური შენობა დიდი ხანი არაა რაც ექსპლოატაციაში შევიდა, მაგრამ სკოლის ისტორია ამ ახალი შენობით არ დაწყებულა. სკოლის ისტორია გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. პირველი სკოლა ჯერ კიდევ 1919 წელს გაიხსნა. იმ დღიდან მოყოლებული სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დღენიადაგ უმჯობესდებოდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით სკოლის ყოფილ ხელმძღვანელებს: დაწყებითი სკოლის გამგეებს ზ. ფილანგიას (რომელიც დღესაც ენერგიულად ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს) და ძ. შამუგიას, დაწყებითი სკოლის რვაწლიან სკოლად გადაკეთების შემდეგ— მის ყოფილ დირექტორებს, აწ გარდაცვლილ რ. და შ. ქირიებს. სკოლის დაარსებიდან 65 წლისთავზე სკოლა გადავიდა ტიპიურ შენობაში, რომელიც სკოლის შეფი ორგანიზაციის სახსრებით აშენდა.

სკოლის 70 წლისთავისთვის კი საშეფო ორგანიზაციამ განიზრახა შეესრულებინა სკოლაში სარემონტო სამუშაოები, რისთვისაც ოქტომბრის კოლმეურნეობამ (გამგეობის თავმჯდომარე ქ. სვირავა) გაიღო 15560 მანეთი. სარემონტო სამუშაოები შესრულებულია მთლიანად. კეთილსინდისიერად იმუშავეს ხელოსნებმა რ. მიშველიამ, ვ. ფარცვანიამ და ქ. ფარცვანიამ. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლის სპეცსახსრებიდან ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად გაიხარჯა 1000 მანეთი. ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი საქვაბე მეურნეობას. შემოზიდულია ნახშირი და შეშა.

სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი მზადაა ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის.

**გ. კინწურაშვილი,**
სკოლის დირექტორი.

# ექსპერიმენტი ეხება ყველა კლასს

საზაფხულო არდადეგებით შექმნილი სიმშვიდის ნაცვლად ქალაქის მე-15 სკოლაში საქმიანი ხმაური დახადგურებულა. როგორც ცნობილია, სასწავლო წლის ტრადიციული დასაწყისი 17 სექტემბრამდე გადაიდო. ბუნებრივია, ყველა ახლის მოლოდინშია და თავისებურად ემზადება ახალი სასწავლო წლის შესახვედრად. ამით აიხსნება მე-15 სკოლაში გამეფებული განწყობილებაც. იგი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც დროულად ჭვრეტს პროგრესულ, სამომავლო გეგმებს. ამას ადასტურებს ის, რაც უკვე გაკეთდა და ჩაფიქრებულია შემდგომისთვის.

კერძოდ, რას გვპირდება სკოლის პედკოლექტივი? როგორც დირექტორმა მადონა ჯაბუამ გვითხრა, უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს ის, თუ როგორ წარიმართება სწავლის პროცესი, რაც უშუალოდ უკავშირდება 5 დღიანი სწავლების ექსპერიმენტის განხორციელებას. ექსპერიმენტი ეხება ყველა კლასს დაწყებითიდან დამამთავრებლებამდე.

საყურადღებოა კეთილშობილი ჩანაფიქრი ახალი საგნების შემოღებაზე. კერძოდ, გამოიყოფა სადვთისმეტყველო საათები, რაც დაეთმობა რელიგიის ისტორიის შესწავლას. ახალგაზრდა მასწავლებელი ელისო ნარმანია ამას კანონზომიერ გადაწყვეტილებად მიიჩნევს. „თუ არა რელიგიამ, სხვამ რამ უნდა გააფაქიზოს მოზარდის ისედაც სათუთი სული... ადამიანმა სასკოლო ასაკიდანვე უნდა გაიცნობიეროს „ბიბლიაში“ ჩადებული საუკუნო სიბრძნე“, — ამბობს იგი.

ორიგინალობით გამოირჩევა საგანიც: „მსოფლიო ლიტერატურის შედევრების სწავლება“. ქართული შედევრების პარალელურად მოსწავლეები გაეცნობიან სტენდალსა და ბალზაკს, ტოლსტოის თუ დოსტოევსკის...

გარდა ამისა, პედკოლექტივს აღელვებს სწავლის დიფერენცირების საკითხი. ისინი თვლიან, რომ ოფიციალურად საგნების დაყოფა ჯერ-ჯერობით არ მოხდება, თუმცა სამეურნეო ანგარიშზე გაიხსნება სპეციალური გაძლიერებული ჯგუფები (მათემატიკის, ისტორიის). ასევე აპირებენ უცხო ენების შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას. უდავოა, სასწავლო ნაწილის გამგის დალი რაფავას აზრი, რომ უცხო ენის შესწავლას არასდროს ისეთი ყურადღება არ მიქცევია, როგორც დღეს, რაც ნაწილობრივ თანამედროვეობითაა განპირობებული. თუმცა სკოლაში ჯერ-ჯერობით ისწავლება მხოლოდ ინგლისური, მაგრამ, როგორც დირექტორმა გაგვიმხილა, განზრახულია ფრანგული და გერმანული ენის სპეციალისტების მოწვევა.

სკოლაში ყურადღება ექცევა მოზარდის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისთვის. „კაი ყმის“ პრობლემა, — აი, რა არის უმთავრესი დღეს მ. ჯაბუას თქმით. სკოლაც არ აყოვნებს. ამაზე მეტყველებს ეროვნული სულისკვეთების სტენდები, რომლებიც შენობაში შესვლისთანავე მიიქცევენ ყურადღებას. შესანიშნავადაა გაკეთებული რუსთაველის, გურ[...] რჩეულიშვილისა და გურამ თ[...] კანაძის სტენდები.

დიდებული ძველი ტრადიციების აღდგენას ემსახურება ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს კურსები, რომელსაც მთელი ზაფხულის განმავლობაში უძღვებოდა ავთანდილ ბედოშვილი.

და ბოლოს, სკოლის დირექტორმა მადონა ჯაბუამ სკოლის მომავალთ უსურვა უპირველესად ჭეშმარიტი მამულიშვილობა, სიკეთე, გულმოდგინე სწავლა...

ზაფხულის ცხელი დღე იყო, სკოლაში კი საინტერესო ფუსფუსი არ წყდებოდა.

**რუსუდან მიქაძე,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეხვედრა მილიციის მუშაკებთან

როგორც ცნობილია, 24 აგვისტოდან შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილების მუშაკებმა გამაფრთხილებელი გაფიცვა წამოიწყეს. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს ამ პოლიტიკური აქციის მიმდინარეობას. გაფიცულები მოითხოვენ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებთან, აგრეთვე მშრომელთა ფართო მასებთან, საზოგადოებრიობასთან, სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა წარმომადგენლებთან შეხვედრას. და აი, 27 აგვისტოს „საქქალალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების კულტურის სასახლეში ეს შეხვედრაც შედგა.

შეხვედრაზე ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა და გაფიცულთა მოთხოვნები შეკრებილთ გააცნო შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილემ, საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ქირიამ.

სიტყვებით გამოვიდნენ და მილიციის მიერ წამოწყებული აქციის მიმართ თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს ლ. ჯგუშიამ (ქალაქის სპორტკომიტეტი) ა. ტულუშმა (სახალხო ფრონტი), დ. ანთიამ (მავჟავაძის საზოგადოება), ი. ქობალიამ (პენსიონერთა კავშირი), ჯ. ქავთარაძემ (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია), უ. შელიამ (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია), გ. ზაქარაიამ (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი), მ. ბერძენიშვილმა (რუსთაველის საზოგადოება).

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუნავა.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი შინაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილების მიერ წამოწყებულ პოლიტიკურ აქციას და გულდასმით გაეცნენ წერილს, რომელიც გაეგზავნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. გ. გუმბარიძეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ჩითანავას, საქართველოს სსრ პროკურორს ვ. ა. რაზმაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ა. ა. კარანაძეს, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ა. ე. შარაშენიძეს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს შ. ვ. გორგოძეს.

# ფართო გზა — კომერციულ ბანკებს!

მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სსრკ ბიზსოცბანკის ბაზაზე ყალიბდება სააქციონერო უნივერსალური კომერციული ბანკი, რომლის დამფუძნებელნი იქნებიან სახელმწიფო, კოოპერაციული, არენდაზე მყოფი კოლექტივები და სხვა საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციები, ასევე კერძო პირები, რომლებიც ბანკის აქციის შესყიდვით ხდებიან მისი აქციონერები და მონაწილეობენ ხმის უფლებით ბანკის მართვაში აქციონერთა საერთო კრების მეშვეობით, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება იქნება 1000 მანეთი და მისი რეალიზაცია მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ახლო მომავალში საკრედიტო გეგმა საერთოდ არ იქნება და კრედიტის გაცემა მოხდება გარკვეული ნორმატიული თანაფარდობის მიხედვით, ვთქვათ 1:20-ან საკუთარ სახსრებსა და მოზიდულ სახსრებს შორის, რომელსაც კომერციულ ბანკს დაუწესებს სახელმწიფო ბანკი, დაშვებულია უფლება სხვა ბანკებისაგან შესაბამისი პროცენტის გადახდით საკრედიტო რესურსების შესყიდვისა, შემოღებულია კრედიტის ახალი სახე „ნდობის კრედიტი" ვადით 30 დღემდე, რომელიც გაიცემა გადამხდელუნარიან საწარმო-ორგანიზაციებზე მომწოდებელთა გაუნაღდებელი ანგარიშების დასაფარავად.

ბიზსოცბანკის საქმიანობა განხორციელდება სააქციონერო საზოგადოების დებულების საფუძველზე და როგორც უნივერსალური ბანკი განახორციელებს საწარმო-ორგანიზაციების საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საკასო მომსახურებას. საწარმო ორგანიზაციებისა და კერძო პირების თანხების მოზიდვას დეპოზიტურ ანგარიშებში, ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, შესყიდვას, შენახვასა და გაყიდვას, ფაქტორინგულ და ლიზინგურ ოპერაციებს. გასწევს სხვადასხვა სახის საკონსულტაციო, საინფორმაციო და სარეკლამო მომსახურებას.

ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ თავისუფალი სახსრები და მის გამოყენებას სამეურნეო საქმიანობის გაღრმავებისათვის ვერ ახერხებენ სიმცირის გამო, შეუძლიათ ასეთი თანხა ჩვენთან დააბანდონ და მათზე მიიღონ გადიდებული პროცენტი, მეორე მხრივ ამ თანხების აკუმულაციით საშუალება გვექნება სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც მზად არიან გააღრმავონ თავიანთი საწარმოო პოტენციალი, მივცეთ მათ მოკლე თუ გრძელვადიანი კრედიტი.

ბანკის საწესდებო ფონდის ოდენობა განისაზღვრება, როგორც საკუთარი, ასევე საწარმოო ორგანიზაციებთან, კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოზიდული აქციების თანხობრივი ოდენობით, რომლის სრული ღირებულება ბანკის რეგისტრაციის შემდეგ ერთი წლის ვადაში უნდა ანაზღაურდეს, ხოლო საწესდებო ფონდის ნაწილი კი, არანაკლებ აქციის 30 პროცენტისა განაღდებული უნდა იქნას აქციონერის მიერ თავდაპირველად, ბანკის ფუნქციონირების დაწყებამდე.

ბანკის დამფუძნებელთა შეთანხმებით აქციონერს შეუძლია აქციის უზრუნველსაყოფად გარდა ფულადი სახსრებისა გადასცეს ბანკს ძვირფასეულობანი, უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც ბანკის მიერ აღებული იქნება ბალანსზე სათანადო ღირებულებით.

ბანკი თავისი ყოველწლიური მოგებიდან არანაკლებ 5 პროცენტის გადარიცხვით ქმნის სარეზერვო ფონდს თავისი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მის გასანაღდებლად.

კომერციულ ბანკსა და კლიენტის ურთიერთობაში ყოველგვარი ძალდატანება გამორიცხულია, საიდუმლოება გარანტირებულია, რამეთუ კლიენტი ირჩევს ბანკს და არა პირიქით, როგორც ადრე იყო, ამ სიტუაციამ უნდა შექმნას ჯანსაღი დამოკიდებულება, პარტნიორობა.

ასეთია სააქციონერო კომერციული ბანკის ძირითადი დებულებანი, რომელიც ძალაში შედის მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან, მანამდე კი უნდა მოგვარდეს ორგანიზაციული საკითხები (აქციის მყიდველი საწარმოო ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების დაზუსტება, მისი ოდენობის განსაზღვრა, ხელშეკრულების დადება და ა. შ.) დაინტერესებულ საწარმო-ორგანიზაციებს, კერძო პირებს მათთვის საინტერესო საკითხებზე შეუძლიათ მიმართონ ბიზსოცბანკის ადმინისტრაციას, რომელიც მდებარეობს ჩელუსკინელების ქ. №1-ში.

**თ. ნადარაია,**
ბიზსოცბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველი.

# „ოდიშის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

## ისევ შაქრით ვაჭრობაში არსებული სიძნელეების შესახებ

ამ ბოლო დროს ბევრი საჩივარი შემოდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში იმის თაობაზე, თუ რატომ ნაწილდება ზუგდიდის მოსახლეობის ერთ სულზე ერთი კილოგრამი შაქარი, მაშინ როცა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ეს ნორმა ორ კილოგრამამდე აღწევს. საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემოვიდა ქალაქის რიგ საწარმოთა შრომითი კოლექტივების განცხადებები, რომლის ავტორები ითხოვენ სათანადო განმარტებას. ფაიფურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური წერილი ამ საკითხზე დაიბეჭდა გაზეთ „ოდიშის" 18 აგვისტოს ნომერში.

ქალაქის მოსახლეობას გვინდა ერთხელ კიდევ ვაცნობოთ, რომ შაქრის ფონდების შემცირების გამო წლის დასაწყისიდან შაქრის გაცემის ნორმად მთელს რესპუბლიკაში მოსახლეობის ერთ სულზე გაცემის ნორმად დაწესდა ერთი კილოგრამი შაქარი. როგორც გამონაკლისი ერთნახევარი კილოგრამი რიგდება თბილისსა და რუსთავში. ამჟამად ზოგიერთ მეზობელ რაიონებში მართლაც ნაწილდება ორი კილოგრამი შაქარი. მათ ეს შესძლეს გაცვლითი ოპერაციების საშუალებით. კერძოდ თხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები გაცვალეს შაქარზე, რომლის შესაძლებლობა ცნობილი მიზეზების გამო ქალაქს არ გააჩნია. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქისათვის შაქრის ფონდების გადიდების თაობაზე არაერთხელ დააყენა საკითხი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და თვით რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, მაგრამ ჩვენი თხოვნა დადებითად ვერ გადაწყდა რესურსების უქონლობის გამო.

ამასთან გვინდა მოსახლეობას განვუმარტოთ რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქალაქის მოსახლეობა დღეისათვის 50 ათასს შეადგენს. იმ სიების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ქუჩის კომიტეტების მიერ ქალაქის მოსახლეობა 62 ათას კაცს აღემატება. შაქრის ფონდი კი გამოყოფილია მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკის მიხედვით. რომ დროზე არ ყოფილიყო ზომები მიღებული და არ დაგვედგინა მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა, გაპირდებოდა ერთ სულზე კილოგრამი შაქრის გაცემაც კი.

აქ მოტანილი არგუმენტი მოსახლეობის აღრიცხვიანობის საქმეში არსებულ ქაოსზე მიგვანიშნებს და იგი ვერაფერი ნუგეშია შაქრის განაწილების დაბალი ნორმით განაწყენებული ქალაქის მოსახლეობისათვის.

თუმცა ჩვენს ცდას, გაცვლითი ოპერაციებით შემოგვეზიდა შაქარი, დღემდე სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. იმის გამო, რომ ქალაქის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის გაცვლაზე შაქრის მწარმოებლები უარს აცხადებენ, ან კიდევ გვთავაზობენ მიუღებელ პირობებს. საქმის სასარგებლოდ ნაბიჯი ვერ გადავდგით. კერძოდ ერთ კილოგრამ შაქარზე ითხოვდნენ 10-12 მანეთის პროდუქციას, რის შესაძლებლობაც ქალაქს არ გააჩნდა.

ამჟამად საქალაქო საბჭოს აღმასკომი შესაბამის სამსახურებთან ერთად ღებულობს ზომებს, რათა ქალაქში წარმოებული პროდუქციის (ჩაი, ფაიფურის ნაწარმი) გაცვლით შემოზიდულ იქნას დამატებითი შაქარი. მომარაგების დარგის რამდენიმე მუშაკი მივლინებულია სხვადასხვა რესპუბლიკებში. ამ რამდენიმე ხნის წინ გამოინახა ჩვენთვის სასურველი მომწოდებელიც. უკვე დადებულ იქნა ხელშეკრულება ქალაქ ორიოლის საბითუმო სავაჭრო ბაზასთან 1990-1991 წლებისათვის 220 ტონა შაქარზე, სამაგიეროდ მათ უნდა გადავუტვირთოთ 75 ტონა ჩაი.

ასევე დადებულია ხელშეკრულება კრასნოდარის მხარის გულკევიჩის შაქრის ქარხანასთან და ისინი გაცვლითი ოპერაციებით მოგვაწვდიან 120 ტონა შაქარს. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა რესპუბლიკების ორგანიზაციებთანაც. ასე, რომ არის გარკვეული იმედები, რათა უახლოეს პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე გავცეთ 1,5 კილოგრამი შაქარი.

ფაიფურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურ წერილში სამართლიანად არის დასმული საკითხი საკონდიტრო ნაწარმის გამომშვებ კოოპერატივებზე თუ საიდან მოაქვთ მათ შაქარი. მიცემულია დავალება შინაგან საქმეთა განყოფილებაზე და საფინანსო განყოფილებაზე, რათა დეტალურად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი, მათვე დავალებული აქვთ გაარკვიონ თუ რამდენად რეალურია თითქოსდა კოოპვაჭრობის მაღაზიებში იყიდებოდეს „ხილბოსტანვაჭრობის" მიერ შემოზიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამ მხრივ მიღებული ზომების შესახებ დამატებით ეცნობება ზემოთ მითითებული სამსახურების მიერ გაზეთის მეშვეობით.

ამასთან გვინდა ვაცნობოთ ქალაქის მოსახლეობას, რომ აღმასკომმა ამ ეტაპზე მკაცრად შეზღუდა საკონდიტრო ნაწარმის კოოპერატივების რეგისტრაციაში გატარებაც. და კიდევ ერთი საკითხი რომელიც უნდა ითქვას. ბევრი ლაპარაკობს ქალაქის საცალო ვაჭრობის მაღაზიებში შაქარი იყიდება ტომრებით. თუმცა არავინ არ ასახელებს კონკრეტულ ფაქტებს. ყველა მაღაზია რომელიც შაქარს ყიდის ამ უკანასკნელს ვერ გასცემს უტალონოდ. რადგან ყოველი თვის ბოლოს მაღაზიის გამგემ იმ რაოდენობის ტალონი უნდა ჩააბაროს საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რამდენი კილოგრამი შაქარიც მიიღო. ის, ვისაც ტალონებსა და შაქარზე სხვაობა აღმოაჩნდება სათანადოდ ისჯება. მაგრამ როგორც ფაქტები ცხადყოფენ გამყიდველიც და მყიდველიც რაღაც გამოსავალს პოულობენ. აქ კი მაკონტროლებელ ორგანოებს მეტი სიფხიზლე და ოპერატიულობა მართებთ.

ეს ინფორმაცია ქალაქის მოსახლეობას არ დააკმაყოფილებს, რადგან აქ ბევრი კითხვის დასმა შეიძლება. მაგალითად რატომ არ გამოინახა დღემდე ჩვენთვის სასურველი მომწოდებლები და ა. შ. ამ და სხვა კითხვებზე რომელიც შეიძლება წამოიჭრას, ცხადია პასუხი ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა გასცეს.

**რ. ცაავა,**
სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, რომ სექტემბრის თვეში მოსახლეობაზე გაიყიდება 1,5 კილოგრამი შაქარი ერთ სულზე. წინათვის ტალონებით შაქრის გაცემა არ იწარმოებს.

# პრობლემების მოგვარებას დრო სჭირდება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქისა და რაიონისათვის ნაგავსაყრელ ტერიტორიად გამოყოფილ იქნა სოფელ ცაიშში ცაცხვის უბნის 18 ჰექტარი ფართობი, რომელიც შემოღობილია მავთულბადით, მოეწყო მისასვლელი გზები, მანქანის სარეცხი მოედანი, გაყვანილ იქნა ელექტროენერგია, ხდება ნაგავის დაშტაბელება, შეწამლვა. ნაგავსაყრელ ტერიტორიას ემსახურება 7 კაცი, რომლებიც აწარმოებენ ნაგვის გადარჩევას.

ნაგავსაყრელი მოსახლეობიდან დაშორებულია 1,5 კილომეტრით, ნორმით კი დასაშვებია 800 მეტრით დაშორება. მისი უფრო ტექნიკურად გამართვის მიზნით მუშაობს სამი ექსკავატორი და ორი ბულდოზერი, რომლებიც აშტაბელებენ ძველ და ახალ ნაგავს, აწარმოებენ მიწის მიყრას. მომავალში გათვალისწინებულია მისასვლელი გზის ასფალტობეტონით მოწყობა.

ამჟერად ნაგავსაყრელთან მოსახლეობის პიკეტირების გამო შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია. ისინი კატეგორიულად ითხოვენ ნაგავსაყრელის გადატანას, ამასთანავე არ ითვალისწინებენ იმას, რომ რაიონში ამჟამად არ არსებობს ტერიტორია სადაც შეიძლებოდეს ნაგავსაყრელის მოწყობა, რომც გამოინახოს ასეთი, საჭიროა მისი სპეციალურად დამუშავება, რასაც 3-4 თვე სჭირდება.

ქალაქის ხელმძღვანელობამ, კომუნალური სამსახურის მესვეურებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს მოსახლეობას, მოხსნან პიკეტი, სანამ პრობლემის გადაჭრა მოხერხდებოდეს, რასაც ვიმეორებთ, აუცილებლად სჭირდება გარკვეული დრო.

მოსახლეობის საყურადღებოდ კი აუცილებელია ითქვას, რომ თუ ქალაქიდან ნაგვის გატანა კვლავ შეფერხდება, ანტისანიტარიის გამო დაიხურება საკოლმეურნეო ბაზარი, კვების ობიექტები, საავადმყოფოები, ამას მოჰყვება საწარმოთა გაჩერებაც. შეიქმნება საშიშროება ინფექციურ დაავადებათა მასიური გავრცელების. რაც უდაოდ დიდ ზიანს მიაყენებს არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობასაც. მათ შორის მოპიკეტეებსაც დასჭირდებათ, ცხადია აღნიშნული ობიექტები.

საზოგადოებრიობის სახელით, ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის სახელით კვლავ მივმართავთ პიკეტის მომწყობთ, მოგვცენ დრო პრობლემის მოგვარებისათვის, ხოლო მანამდე გაიხსნას ძველი ნაგავსაყრელი.

**ოსიარ ჩახაია,**
საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების უფროსი.

**რეზო გვილია,**
კომუნალური განყოფილების მთავარი ინჟინერი.

# თქვენი თანადგომა გვინდა, ჰეგობრებო!

კარგახანია ჩვენს ქუჩაზე მანქანას არ ჩამოუვლია და ეზოებიდან ნაგავი არ გაუტანია. ამით შეწუხებულებმა ერთ მშვენიერ დღეს რუსთაველის ქუჩის რკინიგზის სადგურის უბნის მცხოვრებთა გარკვეული ჯგუფის სახელით ქალაქის კომუნალურ სამსახურს მივაკითხეთ. იქ კი ამის თაობაზე ასეთი განმარტება მოგვცეს: ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ცაცხვის უბნის მშრომელებმა პიკეტირება მოგვიწყვეს და ნაგავით დატვირთულ მანქანებს ქალაქისაკენ აბრუნებენო.

მოპიკეტეებს ნამდვილად ვერ გაამტყუნებ. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომელი ჩვენთაგანი დათანხმდებოდა საცხოვრებელი კორპუსის მახლობლად ნაგავსაყრელი ჰქონდეს და ბუზები აწუხებდეს? ბუნებრივია, არავინ და არც ცაცხველებს უნდათ ეს. მართალია ნორმით გათვალისწინებული 800 მეტრის მაგიერ 1500 მეტრით ყოფილა დაშორებული ნაგავსაყრელი მოსახლეობისაგან, მაგრამ როგორც ჩანს სანიტარული ნორმა ყველა ჩამონათვალის მიხედვით არ ყოფილა დაცული და ამაზე პასუხისმგებლობა კომუნალურმა სამსახურმა უნდა იკისროს.

ჩვენი ქუჩის მოსახლეობის სახელით მოპიკეტეებს ვთხოვთ გაგვიწიონ თანადგომა. მიეცით საშუალება ქალაქის კომუნალურ სამსახურს დათქმულ ვადაში მოიყვანონ წესრიგში ნაგავსაყრელი და თუ ისინი თავიანთ პირობას დაარღვევენ მაშინ მივმართოთ უკიდურეს ღონისძიებებს. ჩვენ ისიც შევიტყვეთ, როგორც კი ნაგავსაყრელი დაიხურება ფუნქციონირებას შეწყვეტს საკოლმეურნეო ბაზარი, საავადმყოფოები, კვების ობიექტები, საწარმოები და პოლიკლინიკები. თუ ზემოთჩამოთვლილი ობიექტები არ დაიხურა ინფექციური დაავადებების გავრცელება გარდაუვალია.

დაცარიელებული სასურსათო მაღაზიების ფონზე საკოლმეურნეო ბაზრის დახურვა დღევანდელ პირობებში ნამდვილი უბედურებაა.

შეიძლება საქმეში ჩაუხედავმა ზოგიერთმა სოფლის მცხოვრებმა თქვას: თქვენ, ქალაქელებმა იკითხეთ, თორემ ჩვენ სოფლის მცხოვრებლებს ყველაფერი გვაქვს ჩვენი სამყოფიო. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ გახლავთ.

ვთქვათ და ეს ასეც იყოს, მაგრამ იცით რა კატასტროფის წინაშე დააყენებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას სამკურნალო დაწესებულებების დახურვა?

სამწუხაროდ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოდის დღეს საკოლმეურნეო ბაზარში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შესაძენად. ასე რომ ყველას თანაბრად შეაწუხებს საკოლმეურნეო ბაზრის დახურვა.

ამას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ქალაქში ინფექციური დაავადება რომ გავრცელდეს არც სოფლის მოსახლეობა იქნება ამ საშიშროებისაგან დაზღვეული.

მოდით ერთად ვიფიქროთ ამაზე.

რუსთაველის ქუჩის მცხოვრებთა სახელით

**ე. ვეკუა,**
ექიმი პედიატრი.
**ნ. ფიფია,**
პენსიონერი.
**ლ. ხუფენია,**
დიასახლისი.
**ზ. ყაველაშვილი,**
ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს თანამშრომელი.
**ა. ხუბულავა,**
აბასთუმნის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

## განცხადებები. რეკლამები.

### გიწვევთ სასწავლებლად!

მიმდინარე სასწავლო წელს ქ. ზუგდიდის №9 საშუალო სკოლის მე-10 კლასის ბაზაზე გაიხსნა პროფილირებული სწავლების ჯგუფი ფიზიკა-მათემატიკის განხრით. მასწავლებლად მუშაობენ ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტები გურა ბელქანია, გონელი პაპავა და სხვები.

პროფილირებული სწავლების ჯგუფში მიიღებიან 1989-90 სასწავლო წელს ცხრაკლასდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ ფიზიკისა და მათემატიკისადმი.

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრებით.

საბუთები მიიღება 13 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას ყოველდღე, გარდა კვირისა 10 საათიდან 15 საათამდე. მისამართი: მოსაშვილის ქ. №2, ტელეფონი 2—32—71.

**სკოლის დირექცია.**

5 სექტემბერს 12 საათზე სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭო ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ატარებს მასში შემავალ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების სამსახურის ყველა თანამშრომლებთან ერთდღიან სემინარს. შესაბამისი ორგანიზაციის თანამშრომლების დასწრება აუცილებელია.

**ზუგდიდის სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭო.**

**ვყიდი** ოროთახიან ბინას ლოჯით და აივნით ქ. თბილისში, (ვაკე) წყნეთის ქუჩაზე. მსურველს შეუძლია დაგვიკავშირდეს შემდეგი მისამართით: ქ. სოხუმი, გოჩუას ქ. №5. ტელ 4—40—48, (ბინის) ან 2—49—55, 2—38—91 (სამსახური). იკითხეთ დარეჯან სიგუა.

საქართველოს სსრ განათლების და მეცნიერების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების ქ. ზუგდიდის ბავშვთა და მოზარდთა კლუბის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ წრეებში საქართველოს ისტორიის შემსწავლელი, „ვეფხისტყაოსნის", უცხო ენების, ფოლკლორულ გუნდში, ვოკალურ ჯგუფებში, გიტარის, სამეჯლისო ცეკვების, აერობიკის, დრამატულ წრეში თოჯინების თეატრისათვის, საბავშვო თეატრ „აია"-ში, ფოტოტელემოყვარულთა, ავტომოყვარულთა წრეებში.

აღნიშნულ წრეებში მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კლუბის დირექციას. მისამართი: რუსთაველის ქ. №89. ტელ: 2—17—19.

# მადლობა ძმის მაგივრად

ჩემი ძმა შოთა ოსების ძე ესართია ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე ჩადგა მებრძოლთა რიგებში. იგი უკან არ დაბრუნებულა— უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დიდხანს მივსტიროდით მის დაკარგვას ოჯახის წევრები. საბოლოოდ ოჯახში მარტოდ-მარტო დარჩა ბავშვობიდანვე ინვალიდი ჩვენი და—ნელი. უბრალო ქოხისმაგვარი სახლი ედგა ჩემს ძმას. მისი მიმხედავი არავინ იყო. ძალიან გვიჭირდა ეკონომიურად. მაგრამ კეთილ ადამიანებს რა გამოლევს ქვეყანაზე. და აი, ჩემს ინვალიდ დასაც გამოუჩნდა კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა უმწეოდ დარჩენილ ქალს. საუბარია ორულუს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეზე—ლერი ქაჯაიაზე, რომლის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩემს დას დაუდგეს ფიცრული სახლი.

გადაწყვეტილია, რომ ამ სახლში ძინმოუსვლელთა მუზეუმი გახსნან. ლ. ქაჯაიას გვერდში ედგნენ და მზრუნველობას არ აკლებდნენ ჩემს დას სასოფლო საბჭოს მდივანი მ. წურწუმია, კ. როგავა, კ. ნარმანია, მეურნეობის დირექტორი მ. ბოკუჩავა და სხვა.

მე ჩემი დაღუპული ძმის მაგივრად მადლობა მინდა მოვახსენო ყველას, ყველას, ვინც მონდომა ჩემი ძმის ნამოსახლარზე სახლ-მუზეუმის აგება.

**შ. ესართია-ქირია,**
პენსიონერი კოლმეურნე.

**რედაქტორი**
**აკ. ჭანტურია.**

მამა იროდი. მეუღლე თინა. შვილები ლალი. ლია. დალი. მარიკა. დები: ნაზიკო. მიმოზა. ნიაზო. ძმა ვალერი. რძალი ელისო გვაზავა. სიძეები პატიკო მინჯია. ომი ყალიჩავა. გივი სოხაძე, ელგუჯა სორდია, ძმისშვილები: ლაშა, კახა. დისშვილები: ნანი, მზია. რიმა, ნანა მინჯიები, ანა, ალიკა ყალიჩავები. ირმა, ბესიკი სოხაძეები, ცოლისძმები: ამირანი ხურცილავა. იური უბილავა, ცოლისდები: ნათელა, კლარა. ნინო. ბიცოლები: ვალენტინა, მერი, გულიშა. დეიდა ჰუტა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ირველი იროდის ძე ქარჩავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1. 2, სექტემბერს. დაკრძალვა 4 სექტემბერს სოფელ ინგირში.

მეუღლე ვასო. შვილები: მურთაზი. ზერდია. ლევანი. მაზლები: დათიკო. გრიშა. პალიკო გოგინავები. რძლები: არუსია, ლეილა. დენიზა, მაზლიშვილები ზურაბი, დიმიტრი. ქეთინო. როლანდი, ლაინე გოგინავები იუწყებიან

**ფუნთუშა (შუშანა) ჭიჭიკოს ასულ ყალიჩავა-გოგინავას** გარდაცვალებას პანაშვიდი 1 სექტემბერს. დაკრძალვა 2 სექტემბერს სოფელ ორსანტიაში.

მინელა სიჭინავა, შალვა, ჯუმბერ. ტრიფონ ნანავები ოჯახებით იუწყებიან

**შოთა იასონის ძე გეთიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ვერა. მეუღლე ნათელა. შვილები: ბაჩუკი. ქეთინო. დები გოგოლა. თამარა. ძმა ვანო ძაძუები სიდედრი ცაცა, ცოლისძმები ალიოშა, გენო, ცოლისდა ჟერიკო ქითანავები. რძლები ლულიკო. ჰონტო. ლუცია. ძმისშვილი როინი. დისშვილები მარინა. ცისანა. ელისო. ბორისი, ტუსიკო. ავთო. ვახტანგი. ნატო შონიები. ბიძაშვილები გივი. ჯუმბერი. მირო. ჯეირანი. ლეილა. ეთო. ლუიზა ჯიქიები ოჯახებით იუწყებიან

**ყორყი იროდის ძე ძაძუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1. 2 სექტემბერს. დაკრძალვა 4 სექტემბერს. გამოსვენება ი. ქ. კ. ოკინიგზელთა ქ. 29.

მეუღლე ვარვარა, შვილები: როინი. გიგლა. ძმა ლავრენტი, რძლები: მზია ქვანია, ნაირა წულაია, შვილიშვილები: ნინო,. ლევანი. ირინა ქირიები, ძმისშვილები: ბორისი, ნოდარი, ეთერი ქირიები. გულნარა ბელქანია, ცოლისდა ფედოსია ჩხაპელია, ცოლისძმისშვილები: იზოლდა ხვინგია, თინიკო, მურმან ჩხაპელიები. მზახლები: ჯულელი. ნელი ქვანიები, მამია. ფუფა წულაიები, ბიძაშვილი ოთარ ჯობავა, ახლო ნათესავები იუწყებიან

**იროდი პეტრეს ძე ქირიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 სექტემბერს. დაკრძალვა 4 სექტემბერს ზუგდიდში. გამოსვენება „პრავდის" ქ. 3.

შვილი გურამი. რძლები: ნელი, მადონა. დუნია, გულია. ესტერი, ვარდო. იზაბელა, შვილიშვილები: მანანა, მაია, ნანა. ბაჩუკი. დავითი მაქაცარიები, შვილთაშვილები: დავერ მაქაცარია, ბექარ ბერიშვილი, სიძეები: ვიდიკო ბერიშვილი, ჯუმბერ ჭურღულია, პარტუშა ყურუა, დისშვილები ნაზი, ლული, გუგუჩიები. მაზლიშვილები: ბროლისა, შინო, ჯანიკო, გივი. ენუქი მაქაცარიები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარო გუდუს ასულ ჭურღულია-მაქაცარიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 სექტემბერს. დაკრძალვა 4 სექტემბერს სოფელ ახალსოფელში (უჩაშონა).

**ИНДЕКС 66507** რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის —2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, ჩადიორედაქციის —2-47-05

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის გამომცემლობა, სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. №3884